

საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი



ცვლილების პროექტი




საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2019 წ.

ძირითადი ფისკალური ინდიკატორები

კონკრეტული პერიოდისათვის ფისკალური გარემოს ანალიზისას მნიშვნელოვანია შეფასდეს ფისკალური პოლიტიკის მიმართულება - ექსპანსიური თუ შემზღვეველი. ექსპანსიური (მასტიმულირებელი) ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს გადასახადების შემცირების ან ხარჯვითი ნაწილის ზრდის გავლენით დეფიციტის ზრდას, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია ხელი შეუწყოს ეკონომიკის სტიმულირებას ეკონომიკური აქტივობის შენელების დროს. საპირისპირო მიმართულების ფისკალურ ღონისძიებებს წარმოადგენს შემზღვეველი ფისკალური პოლიტიკა. ამასთან, არსებითია ფისკალური პოლიტიკის მიმართულების შეფასება ეკონომიკური ციკლის ეტაპთან მიმართებაში, რაც შესაძლებელია შეფასდეს გამოშვების (მშპ-ს) პოტენციური დონიდან ფაქტიური გამოშვების გადახრის მიმართულებითა და ზომით. მაგალითად, ექსპანსიური (მასტიმულირებელი) ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას ეკონომიკური აქტივობის შენელებისას და პირიქით, შემზღვეველი ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას ეკონომიკური ბუმის პერიოდში ანტიციკლურ ფისკალურ პოლიტიკად მოიხსენიებენ, რამდენადაც ამ შემთხვევაში ფისკალური პოლიტიკა მიზნად ისახავს ეკონომიკური ციკლის გავლენის განეიტრალებას ეკონომიკაზე. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც მისაღებად მიიჩნევა არა ანტიციკლური, არამედ პროციკლური ფისკალური პოლიტიკა, მაგალითად, მაღალი საგარეო დისბალანსის პირობებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი მიზნად ისახავს ერთი მხრივ, ფისკალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულების შეფასებას, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნული მიმართულების ანალიზს ეკონომიკური ციკლის ეტაპთან მიმართებაში.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ანალიტიკური მიზნისთვის გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სალდო, რომელთა შედარება მნიშვნელოვანია საერთო სურათის მისაღებად. ბიუჯეტის მთლიანი სალდო გაიანგარიშება საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს (GFSM 2001) სტანდარტის მიხედვით. გარდა ამისა, ფისკალური პოლიტიკის ანალიზისთვის გამოიყენებულია მთლიანი ფისკალური ბალანსი, რომელიც ამავე სისტემის 1986 წლის სახელმძღვანელოს (GFSM 1986) შესაბამისად ითვლება.



დიაგრამა 1: მშპ-ის ბაზი, ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო და მთლიანი ფისკალური ბალანსი (2000 - 2018 წწ.). წყარო: პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.


როგორც დიაგრამა 1-დან ჩანს, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტის მიხედვით ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის (GFSM 2001) მოსალოდნელი მაჩვენებელი 2019 წლისთვის მცირედით გაუარესების ტენდენციას ავლენს და მშპ-თან მიმართებაში -2.4%-ს უტოლდება. რაც შეეხება ფისკალური ბალანსის მოცულობას, 2019 წლისათვის ფისკალური ბალანსის მოცულობა ასევე მცირდება -3.8% ის დონემდე. რაც შეეხება ე.წ მოდიფიცირებულ დეფიციტის, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის

მეთოდოლოგიით გაინგარიშება, აღნიშული მაჩვენებელიც ანალოგიურ ტენდენციას ავლენს და -2.7%-ს უტოლდება.

რაც შეეხება ფისკალური პოლიტიკის მიმართულებასა და ტიპს (ფისკალური პოლიტიკის მიმართულების შეფასება ეკონომიკური ციკლის ეტაპთან მიმართებაში), საბიუჯეტო ოფისის მაკროეკონომიკურ პროგნოზებზე დაყრდნობით საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს მოსალოდნელია უარყოფითი ფისკალური პოზიცია, რაც მიუთითებს ფისკალურ კონსოლიდაციაზე¹. ამასთან, უარყოფით ფისკალურ პოზიციას თან ერთვის გამოშვების დადებით გაპი, რაც შესაძლებელია ანტიციკლურ ფისკალური პოლიტიკის მანიშნებელი იყოს. ხოლო, უშუალოდ, 2019 წლისათვის მოსალოდნელია ფისკალური ექსპანსია და ანტიციკლური პოლიტიკა.

მართალია, წარმოდგენილი ცვლილების გათვალისწინებით, 2019 წლისათვის აღნიშული სურათი არსებითად არ იცვლება, თუმცა საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი შეფასების თანახმად, მოსალოდნელია დადებითი ფისკალური პოზიცია, რაც მიუთითებს ფისკალურ ექსპანსიაზე. ამასთან, დადებით ფისკალურ პოზიციას თან ერთვის გამოშვების დადებითი გაპი, რაც შესაძლებელია პროციკლური ფისკალური პოლიტიკის მანიშნებელი იყოს (იხ. დიაგრამა #2).

სამინისტროსა და ოფისის შეფასებებს შორის არსებული სხვაობა შესაძლებელია საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებით განიმარტოს.



დიაგრამა 2: ფისკალური პოზიცია და მშპ-ის გაპი. წყარო: პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშება.

¹ დეტალური ინფორმაცია იხილეთ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის კვლევით პუბლიკაციაში „ფისკალური პოლიტიკის შეფასება საქართველოსთვის: მიმართულება, ციკლურობა, მანევრირების რესურსი“.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილში ცვლილებები ძირითადად დაკავშირებულია, მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობიდან გამომდინარე, შემოსულობების საგეგმო მაჩვენებლების დაზუსტებასთან, საკრედიტო რესურსების ნაწილის მომდევნო წლებში გადატანის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, **შემოსულობების** საპროგნოზო მოცულობა კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელთან შედარებით იზრდება 93 მლნ ლარით (0.7%-ით) და შეადგენს 12,957 მლნ ლარს. შემოსულობების აგრეგატული მაჩვენებლის ცვლილება, შესრულების შედეგებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს როგორც საგარეო წყაროდან (გრანტები და კრედიტები), აგრეთვე, საშინაო წყაროდან შემოსულობების (საგადასახადო შემოსავლები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლებისა და საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები) კორექტირება-დაზუსტებას. კერძოდ:

საგადასახადო შემოსავლების გეგმა უცვლელია და შეადგენს 9,645.0 მლნ ლარს, თუმცა კომპონენტების დონეზე, შესრულების ტენდენციიდან გამომდინარე, ხორციელდება კორექტირება:

უმნიშვნელოდ იცვლება დამატებული ღირებულებისა და საშემოსავლო გადასახადები - საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესების შედეგად დღგ-ს საგეგმო მაჩვენებელი იზრდება 0.9%-ით (35 მლნ ლარით), ხოლო საშემოსავლო გადასახადი მცირდება 0.5%-ით (16 მლნ ლარით), რაც ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, უკავშირდება დაგროვებითი საპენსიო სქემის ამოქმედებას;

შედარებით მნიშვნელოვანი ცვლილება ეხება მოგებისა და სააქციზო გადასახადებს - მოგების გადასახადი გადაჭარბებით მობილიზების შედეგად (მიმდინარე წლის 8 თვეში ბიუჯეტში მიღებულია წლიური გეგმის 77%) იზრდება 9%-ით (74 მლნ ლარით), რაც თავის მხრივ დაკავშირებულია გადამხდელთა მიერ მოგების იმაზე მეტი ოდენობით განაწილებასთან, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. რაც შეეხება აქციზს, მისი საგეგმო მაჩვენებელი, შესრულების მხრივ მნიშვნელოვანი დანაკლისიდან გამომდინარე (8 თვეში აქციზის სახით მობილიზებულია წლიური საგეგმო მაჩვენებლის მხოლოდ 59%), მცირდება 175 მლნ ლარით. აღნიშნული ჩამორჩენა, ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, დაკავშირებულია მიმდინარე წლის განმავლობაში თამბაქოს ნაწარმის - თუთუნის მოხმარების მნიშვნელოვან ზრდასთან (რომლის დაბეგვრა პრაქტიკაში მინიმალური განაკვეთით ხდება) და შესაბამისად თამბაქოს მოხმარების სტრუქტურის მნიშვნელოვან ცვლილებასთან;

თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების გავლენით იმპორტის არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე, მცირდება იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელიც (8 მლნ ლარით 75 მლნ ლარამდე). რაც შეეხება სხვა გადასახადებს, მისი საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრება 207 მლნ ლარით, რაც 90 მლნ ლარით აღემატება თავდაპირველ გეგმას.

სხვა შემოსავლების გეგმა იზრდება 45 მლნ ლარით (10%-ით) და შეადგენს 505 მლნ ლარს. კომპონენტების დონეზე, ზრდის მიმართულებით კორექტირება შეეხო შემოსავლებს, რომელთა შესრულებაც 8 თვეში მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა: კერძოდ, ჭარბების სახით მისაღები შემოსავლები (წლიური გეგმის 72%) იმატებს 10 მლნ ლარით, ხოლო საკუთრებიდან შემოსავლები (წლიური გეგმის 94%) იზრდება 25 მლნ ლარით (მ.შ. დივიდენდების საგეგმო მაჩვენებელი იზრდება 15 მლნ ლარით, გამომდინარე იქიდან, რომ მიმდინარე წელს ეროვნული ბანკის მოგებიდან ბიუჯეტში ჩაირიცხა 80 მლნ ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 65 მლნ ლარისა, პროცენტების სახით მიღებული შემოსავლები კი იზრდება 10 მლნ ლარით 95 მლნ ლარამდე). რაც შეეხება შერეულ და სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს, დაბალი შესრულების

მარვენების მიუხედავად (8 თვეში მობილიზებულია წლიური გეგმის 57%), აღნიშნული შემოსავლების საგეგმო მოცულობა იზრდება 8 მლნ ლარით, 115 მლნ ლარამდე.

გრანტების სახით დაგეგმილი მარვენებლები იზრდება 7.7 მლნ ლარით და შეადგენს 390.4 მლნ ლარს. ზრდა გათვალისწინებულია საინვესტიციო პროექტების ნაწილში (ძირითადად ათასწლეულის გამოწვევა - საქართველოს (MCC) პროგრამის ფარგლებში, რომელიც სრულდება მიმდინარე წელს.

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით შემოსულობების საგეგმო მარვენებელი, არსებული ფაქტობრივი შედეგების გათვალისწინებით (რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან და მიწის რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსულობებმა 8 თვეში უკვე გადააჭარბა წლიურ საგეგმო მარვენებლებს) იზრდება 10 მლნ ლარით 80 მლნ ლარამდე.

ფინანსური აქტივების კლების (სესხების დაბრუნება) მარვენებელი არ იცვლება და შეადგენს 120 მლნ ლარს.

ვალდებულებების ზრდის სახით მისაღები შემოსულობები იზრდება 30 მლნ ლარით, 2,216 მლნ ლარამდე, საგარეო დაფინანსების წყაროდან თანხების შემცირებისა და საშინაო დაფინანსების წყაროდან სახსრების ზრდის გავლენით. კერძოდ:

საგარეო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები მცირდება 370 მლნ ლარით, რაც დაკავშირებულია საინვესტიციო კრედიტების შემცირებასთან (8 თვეში ამ მიმართულებით ბიუჯეტში მიღებულ იქნა გეგმით გათვალისწინებული სიდიდის 26%), როგორც განმარტებით ბარათშია მითითებული, აღნიშნული კორექტირება განხორციელდა 2018 წელს დაწყებული მასშტაბური საინვესტიციო პროექტების შესრულების ვადების მომდევნო წელს გადაწვევის გათვალისწინებით (რაც იწვევს ამ პროექტებზე მიბმული ასიგნებების და ამ მიმართულებით მისაღები შემოსულობების შემცირებას 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში).

საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების წმინდა ზრდის მარვენებელი იმატებს 400 მლნ ლარით და შეადგენს 900 მლნ ლარს. ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, ფასიანი ქაღალდების გამოშვების ზრდა დაკავშირებულია დამატებითი რესურსების მობილიზებასთან (ბაზრის განვითარებისათვის გასულ წელს გამოშვებული ე.წ. ბენჩმარკ ბონდების დაფარვისა (უნდა განხორციელდეს 2020 წლის იანვარში) და აგრეთვე, დამატებითი მუნიციპალური პროექტების დაფინანსების უზრუნველსაყოფად).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებს, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი ცვლილებით, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 13,313 მლნ ლარის დონეზე და 2019 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით გადასახდელების ზრდის ტემპი 1.7%-ს შეადგენს. გასათვალისწინებელია, რომ 2019 წლის 8 თვის მდგომარეობით, გადასახდელების შესრულება წლიური გეგმის 61.7%-ს უტოლდება. გადასახდელების ცალკეულ კომპონენტებთან მიმართებაში, არსებულ გეგმურ მარვენებლებთან შედარებით გათვალისწინებულია ხარჯების ზრდა (ე.წ. მიმდინარე ხარჯების)

გეგმური მარჯვენების 357.9 მლნ ლარის ოდენობით, რაც ძირითადად უკავშირდება გრანტების მუხლით ხარჯების ზრდას 243.6 მლნ ლარით. ასევე, არსებულ გეგმურ მარჯვენებლებთან შედარებით გათვალისწინებულია ხარჯების ზრდა სხვა ხარჯებისა და სოციალური უზრუნველყოფის მუხლით შესაბამისად, 20.0 მლნ და 75.9 მლნ ლარით. გარდა ზემოაღნიშნულისა, შრომის ანაზღაურების მუხლით მცირედი კლებაა -0,1%-ით და პროცენტისა და სუბსიდიების მუხლით ხარჯების შემცირება (8 მლნ ლარით). რაც შეეხება გადასახდელების სხვა კომპონენტებს, პროექტი ითვალისწინებს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელების(ე.წ. კაპიტალური ხარჯების) გეგმური მარჯვენების შემცირებას 14,7 მლნ ლარით, ასევე ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით შემცირებას 153,3 მლნ ლარით და ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელების ზრდას 33,2 მლნ ლარით.

	2017 წლის შესრულება	2018 წლის შესრულება	2019 წლის გეგმა (კანონი 60)	2019 წლის გეგმა (ცვლილება)	2019 წ. ცვლილება / 2019 წ. გეგმა		2019 წ. ცვლილება 2018 წ. ფაქტი		2019 წლის 8 თვის შესრულება	2019 წ. 8 თვის / 2019 წ. გეგმა	
					სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება			
სულ გადასახდელები	11,764.8	12,590.2	13,090.0	13,313.15	223.1	1.7%	722.9	5.7%	8,075.5	5,014.5	61.7%
ხარჯები	9,372.1	9,543.7	9,641.1	9,999.1	357.9	3.7%	455.3	4.8%	6,281.4	3,359.8	65.2%
შრომის ანაზღაურება	1,385.4	1,407.6	1,470.7	1,469.5	-1.2	-0.1%	61.9	4.4%	944.3	-526.4	64.2%
საქონელი და მომსახურება	1,248.4	1,288.3	1,218.2	1,246.4	28.3	2.3%	-41.8	-3.2%	804.7	-413.4	66.1%
პროცენტი	476.6	513.0	624.0	624.0	0.0	0.0%	111.0	21.6%	414.1	-209.9	66.4%
სუბსიდიები	486.3	419.5	443.8	435.1	-8.7	-2.0%	15.6	3.7%	307.0	-136.8	69.2%
გრანტები	1,346.2	1,332.0	544.3	787.9	243.6	44.8%	-544.0	-40.8%	376.7	-167.6	69.2%
სოციალური უზრუნველყოფა	3,324.3	3,501.3	3,866.9	3,886.9	20.0	0.5%	385.6	11.0%	2,589.3	-1,277.6	67.0%
სხვა ხარჯები	1,105.0	1,082.0	1,473.2	1,549.2	75.9	5.2%	467.1	43.2%	845.1	-628.1	57.4%
არაფინანსური აქტივების ზრდა	971.8	1,912.2	2,152.3	2,137.6	-14.7	-0.7%	225.4	11.8%	1,070.4	-1,081.9	49.7%
ფინანსური აქტივების ზრდა	905.6	381.1	362.7	209.4	-153.3	-42.3%	-171.7	-45.1%	138.8	-223.9	38.3%
ვალდებულებების კლება	515.4	753.2	933.9	967.1	33.2	3.6%	213.9	28.4%	584.9	-349.0	62.6%

ცხრილი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (მლნ ლარი)

მხარჯავი დაწესებულებების დონეზე გადასახდელების დინამიკასთან დაკავშირებით, პროექტით გათვალისწინებულია გადასახდელების მიმდინარე გეგმური მარჯვენების არსებითი ცვლილებები შემდეგი მხარჯავი დაწესებულებებისათვის:

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსება იზრდება 131.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 1 639.5 მლნ ლარით. მათ შორის, სკოლამდელი და ზოგადი განათლების პროგრამით გათვალისწინებული ასიგნება იზრდება 95.0 მლნ ლარით და შეადგენს 845.5 მლნ ლარს. განათლების რეფორმის ფარგლებში ასევე გაგრძელდება ეტაპობრივად პედაგოგთა შრომის ანაზღაურების ზრდა და უფროსი, წამყვანი და მენტორის სტატუსის მქონე პედაგოგები მიიღებენ 150 ლარით გაზრდილ დანამატს. კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვისა და ხელშეწყობის ღონისძიებებისთვის გათვალისწინებული ასიგნება იზრდება 11.0 მლნ ლარით.

- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გათვალისწინებული ასიგნება ჯამში არ შეცვლილა და განისაზღვრა 2 000.0 მლნ ლარით. საბიუჯეტო სახსრების ნაწილში გათვალისწინებული ასიგნება გაიზარდა 157 425.0 ათასი ლარით, გრანტები შემცირდა 1 500.0 ათასი ლარით, ხოლო კრედიტები - შესაბამისად 155 925.0 ათასი ლარით.

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის გათვალისწინებული ასიგნება მცირდება 116.5 მლნ ლარით (მათ შორის 89.5 მლნ ლარი დონორით დაფინანსებული გრანტის და კრედიტის ნაწილში) და განისაზღვრება 253.1 მლნ ლარით.

- შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებული ასიგნება იზრდება 25.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 766.6 მლნ ლარით. დამატებითი გამოყოფილი ასიგნებებიდან 20 მლნ ლარი მიიმართება სამინისტროს ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად, ასევე სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის.

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება, კრედიტის ნაწილში მცირდება 40.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 835.0 მლნ ლარით, შემცირება ხორციელდება საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობის გაძლიერების (SG) პროექტის ფარგლებში და პროექტით გათვალისწინებული მოწოდება და შესაბამისი ანაზღაურება ნაწილობრივ განხორციელდება მომდევნო წელს.

დეტალურად მხარჯავი დაწესებულებების დონეზე ასიგნებების დინამიკა და 8 თვის მდგომარეობით, შესრულების მდგომარეობა წარმოდგენილია დანართის სახით.

რაც შეეხება საერთო სახელმწიფოებრივ გადასახდელებს, წარმოდგენილი ცვლილებით გათვალისწინებულია აღნიშნული გადასახდელების ზრდა 186 მლნ ლარით, რაც ძირითადად უკავშირდება ერთი მხრივ საგარეო ვალდებულებების მომსახურების/დაფარვის სახსრების 43 მლნ ლარით ზრდას და მეორე მხრივ, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერების ზრდას შესაბამისად, 100 მლნ ლარით და 130 მლნ ლარით. პროექტით ასევე გათვალისწინებულია დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები ასიგნებების 101,5 მლნ ლარის ოდენობით და საგარეო ვალდებულებების მომსახურების/დაფარვის სახსრების 6 მლნ ლარის ოდენობით შემცირება.

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი).

დასახელება	2017 ფაქტი	2018 ფაქტი	2019		2019 წ. ცვლილება / 2019 წ. გეგმა		2019 წ. ცვლილება 2018 წ. ფაქტი	
			გეგმა	ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
შემოსავლები	9,750.3	10,595.6	10,487.7	10,540.4	52.7	0.5%	-55.2	-0.5%
გადასახადები	8,991.3	9,696.0	9,645.0	9,645.0	0.0	0.0%	-51.0	-0.5%
გრანტები	350.6	404.0	382.7	390.4	7.7	2.0%	-13.6	-3.4%
სხვა შემოსავლები	408.4	495.7	460.0	505.0	45.0	9.8%	9.3	1.9%
ხარჯები	9,372.1	9,543.7	9,641.1	9,999.1	357.9	3.7%	455.3	4.8%
შრომის ანაზღაურება	1,385.4	1,407.6	1,470.7	1,469.5	-1.2	-0.1%	61.9	4.4%
საქონელი და მომსახურება	1,248.4	1,288.3	1,218.2	1,246.4	28.3	2.3%	-41.8	-3.2%
პროცენტი	476.6	513.0	624.0	624.0	0.0	0.0%	111.0	21.6%
სუბსიდიები	486.3	419.5	443.8	435.1	-8.7	-2.0%	15.6	3.7%
გრანტები	1,346.2	1,332.0	544.3	787.9	243.6	44.8%	-544.0	-40.8%
სოციალური უზრუნველყოფა	3,324.3	3,501.3	3,866.9	3,886.9	20.0	0.5%	385.6	11.0%
სხვა ხარჯები	1,105.0	1,082.0	1,473.2	1,549.2	75.9	5.2%	467.1	43.2%
საოპერაციო საღდო	378.2	1,051.9	846.6	541.3	-305.2	-36.1%	-510.6	-48.5%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	874.1	1,811.2	2,082.3	2,057.6	-24.7	-1.2%	246.4	13.6%
ზრდა	971.8	1,912.2	2,152.3	2,137.6	-14.7	-0.7%	225.4	11.8%
კლება	97.6	101.0	70.0	80.0	10.0	14.3%	-21.0	-20.8%
მთლიანი საღდო	-495.9	-759.2	-1,235.7	-1,516.2	-280.5	22.7%	-757.0	99.7%
ფინანსური აქტივების ცვლილება	640.3	365.2	16.4	-267.2	-283.6	-1725.3%	-632.4	-173.2%
ზრდა	905.6	484.3	362.7	209.4	-153.3	-42.3%	-274.9	-56.8%
ვალუტა და დეპოზიტები		103.2			0.0		-103.2	-100.0%
სესხები	309.7	237.6	362.7	209.4	-153.3	-42.3%	-28.3	-11.9%

აქციები და სხვა კაპიტალი	595.9	143.5	0.0	0.0	0.0		-143.5	-100.0%
კლება	265.3	119.2	346.3	476.6	130.3	37.6%	357.4	300.0%
ვალუტა და დეპოზიტები	146.2		226.3	356.6	130.3	57.6%	356.6	
სესხები	96.1	94.1	120.0	120.0	0.0	0.0%	25.9	27.5%
აქციები და სხვა კაპიტალი	23.0	25.0	0.0	0.0	0.0		-25.0	-100.0%
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0	-100.0%
ვალდებულებების ცვლილება	1,136.2	1,124.4	1,252.2	1,249.0	-3.1	-0.2%	124.6	11.1%
ზრდა	1,651.6	1,877.6	2,186.1	2,216.1	30.1	1.4%	338.5	18.0%
საშინაო	399.5	422.3	500.0	900.0	400.0	80.0%	477.7	113.1%
საგარეო	1,252.1	1,455.3	1,686.1	1,316.1	-369.9	-21.9%	-139.2	-9.6%
კლება	515.4	753.2	933.9	967.1	33.2	3.6%	213.9	28.4%
საშინაო	61.3	35.1	40.1	40.1	0.0	0.0%	5.0	14.2%
საგარეო	454.1	718.1	893.8	927.0	33.2	3.7%	208.9	29.1%
ბალანსი	0.0000	0.0000	0.0000	0.0000	0.0000		0.0000	

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდებები (მლნ ლარი).

	2017 ფაქტი	2018 ფაქტი	2019 გეგმა (პანონი)	2019 გეგმა (ცვლილება)	2019 წ. ცვლილება / 2019 წ. გეგმა		2019 წ. ცვლილება 2018 წ. ფაქტი		2019 წ. 8 თვე / 2019 წ. გეგმა
					სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება	
სულ შემოსულობები	11,618.7	12,693.4	12,863.8	12,956.5	92.8	0.7%	263.1	2.1%	60.8%
შემოსავლები	9,750.3	10,595.6	10,487.7	10,540.4	52.7	0.5%	-55.2	-0.5%	66.2%
გადასახადები	8,991.3	9,696.0	9,645.0	9,645.0	0.0	0.0%	-51.0	-0.5%	65.5%
საშემოსავლო გადასახადი	2,526.0	2,877.9	3,166.0	3,150.0	-16.0	-0.5%	272.1	9.5%	66.2%
მოგების გადასახადი	756.6	736.6	781.0	855.0	74.0	9.5%	118.4	16.1%	77.0%
დღგ	4,122.6	4,426.9	4,036.0	4,071.0	35.0	0.9%	-355.9	-8.0%	67.4%
აქციზი	1,450.9	1,465.7	1,462.0	1,287.0	-175.0	-12.0%	178.7	-12.2%	58.8%
იმპორტის გადასახადი	71.6	73.4	83.0	75.0	-8.0	-9.6%	1.6	2.2%	60.2%
სხვა გადასახადი	63.6	115.4	117.0	207.0	90.0	76.9%	91.6	79.4%	-10.3%
გრანტები	350.6	404.0	382.7	390.4	7.7	2.0%	-13.6	-3.4%	76.0%
სხვა შემოსავლები	408.4	495.7	460.0	505.0	45.0	9.8%	9.3	1.9%	73.4%
არაფინანსური აქტივების კლება	97.6	101.0	70.0	80.0	10.0	14.3%	-21.0	-20.8%	68.4%
ფინანსური აქტივების კლება	119.1	119.2	120.0	120.0	0.0	0.0%	0.8	0.7%	60.8%
ვალდებულებების ზრდა	1,651.6	1,877.6	2,186.1	2,216.1	30.1	1.4%	338.5	18.0%	34.8%
საგარეო	1,252.1	1,455.3	1,686.1	1,316.1	-369.9	-21.9%	-139.2	-9.6%	26.2%

საშინაო	399.5	422.3	500.0	900.0	400.0	80.0%	477.7	113.1%	63.6%
---------	-------	-------	-------	-------	-------	-------	-------	--------	-------

სულ გადასახდელები	11,764.8	12,590.2	13,090.0	13,313.1	223.1	1.7%	722.9	5.7%	61.7%
ხარჯები	9,372.1	9,543.7	9,641.1	9,999.1	357.9	3.7%	455.3	4.8%	65.2%
შრომის ანაზღაურება	1,385.4	1,407.6	1,470.7	1,469.5	-1.2	-0.1%	61.9	4.4%	64.2%
საქონელი და მომსახურება	1,248.4	1,288.3	1,218.2	1,246.4	28.3	2.3%	-41.8	-3.2%	66.1%
პროცენტი	476.6	513.0	624.0	624.0	0.0	0.0%	111.0	21.6%	66.4%
სუბსიდიები	486.3	419.5	443.8	435.1	-8.7	-2.0%	15.6	3.7%	69.2%
გრანტები	1,346.2	1,332.0	544.3	787.9	243.6	44.8%	-544.0	-40.8%	69.2%
სოციალური უზრუნველყოფა	3,324.3	3,501.3	3,866.9	3,886.9	20.0	0.5%	385.6	11.0%	67.0%
სხვა ხარჯები	1,105.0	1,082.0	1,473.2	1,549.2	75.9	5.2%	467.1	43.2%	57.4%
არაფინანსური აქტივების ზრდა	971.8	1,912.2	2,152.3	2,137.6	-14.7	-0.7%	225.4	11.8%	49.7%
ფინანსური აქტივების ზრდა	905.6	381.1	362.7	209.4	-153.3	-42.3%	-171.7	-45.1%	38.3%
ვალდებულებების კლება	515.4	753.2	933.9	967.1	33.2	3.6%	213.9	28.4%	62.6%
საგარეო	454.1	718.1	893.8	927.0	33.2	3.7%	208.9	29.1%	62.7%
საშინაო	61.3	35.1	40.1	40.1	0.0	0.0%	5.0	14.2%	60.3%

ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	-146.2	103.2	-226.3	-356.6	-130.3		-459.8		
--	--------	-------	--------	--------	--------	--	--------	--	--

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები მხარჯავების მიხედვით

ორგანიზაციის კოდი	დასახელება	2018 წლის შესრულება	მიმდინარე წლის ბიუჯეტის დამოკიდებული გეგმა	6 თვის გეგმა	7 თვის შესრულება	8 თვის შესრულება	2019 წლის ცვლილება	8 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით	2019 წლის ცვლილება/2019 წლის კანონი (მლნ ლარი)	2019 წლის ცვლილება/2019 წლის კანონი %-ულად
00	ჯამური	12,590,181.6	13,090,000.0	6,020.1	7,103,245	8,075,492	13,313,115.0	61.7%	223,115.0	1.7%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	61,154.2	64,736.0	30,965.3	33,548.3	38,074.1	64,736.0	58.8%	0.0	0.0%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	13,529.0	6,000.0	5,001.4	4,597.8	5,060.0	8,200.0	84.3%	2,200.0	26.8%
03 00	საქართველოს ბიზნესობმუდსმენის აპარატი	562.4	750.0	375.0	401.8	462.3	750.0	61.6%	0.0	0.0%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	20,150.7	16,800.0	11,100.7	11,102.9	12,867.3	16,800.0	76.6%	0.0	0.0%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	14,123.5	16,170.8	8,450.5	9,102.2	10,197.8	16,170.8	63.1%	0.0	0.0%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	77,214.5	27,487.1	18,552.0	20,015.5	21,795.2	27,687.1	79.3%	200.0	0.7%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	3,849.5	4,150.0	2,104.0	2,112.1	2,420.2	4,150.0	58.3%	0.0	0.0%
08 00	საქართველოს	8,307.8	9,500.0	4,860.0	4,669.1	5,489.2	9,500.0	57.8%	0.0	0.0%

	უზენაესი სასამართლო									
09 00	საერთო სასამართლოები	66,84 5.7	77,750. 0	34,58 2.0	37,39 0.3	44,13 8.5	77,75 0.0	56.8%	0.0	0.0%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	3,456. 5	6,050.0	2,620 .0	2,316 .2	2,719 .8	6,050. 0	45.0%	0.0	0.0%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	786.2	870.0	435.0	478.3	543.6	870.0	62.5%	0.0	0.0%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	607.5	650.0	325.0	342.6	387.4	650.0	59.6%	0.0	0.0%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, სანხერის, ტყიბულის, წყალტუბო	727.9	780.0	396.0	410.4	465.7	780.0	59.7%	0.0	0.0%

	ს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში									
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	695.2	735.0	366.0	381.9	442.2	735.0	60.2%	0.0	0.0%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	594.6	625.0	314.0	352.0	402.1	625.0	64.3%	0.0	0.0%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	582.7	620.0	322.0	342.4	391.7	620.0	63.2%	0.0	0.0%

17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	536.6	610.0	306.0	327.8	377.8	610.0	61.9%	0.0	0.0%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	832.9	865.0	434.0	470.9	548.2	865.0	63.4%	0.0	0.0%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	592.4	630.0	320.0	347.2	400.1	630.0	63.5%	0.0	0.0%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	128,891.5	136,000.0	73,565.0	80,303.5	91,330.8	136,000.0	67.2%	0.0	0.0%
21 00	სსიპ - საპენსიო სააგენტო	377.2	3,800.0	2,440.0	1,743.6	2,083.4	3,800.0	54.8%	0.0	0.0%

22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	2,191.1	2,965.0	1,409.5	1,122.5	1,257.5	2,965.0	42.4%	0.0	0.0%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	76,380.4	91,000.0	40,848.0	42,609.6	47,237.2	91,000.0	51.9%	0.0	0.0%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	226,442.4	369,550.0	124,163.9	118,594.7	131,416.2	253,050.0	35.6%	-116,500.0	-46.0%
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	1,668,777.2	2,000,000.0	672,968.0	802,927.5	964,197.1	2,000,000.0	48.2%	0.0	0.0%
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	200,316.2	181,130.0	95,529.6	109,699.9	126,312.0	191,130.0	69.7%	10,000.0	5.2%
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	3,688,462.4	3,968,400.0	1,965,915.4	2,316,425.8	2,661,773.9	3,978,400.0	67.1%	10,000.0	0.3%
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	143,707.1	136,500.0	74,415.3	87,007.9	96,846.4	143,500.0	70.9%	7,000.0	4.9%

29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	814,737.7	875,000.0	459,822.6	479,972.5	536,327.5	835,000.0	61.3%	-40,000.0	-4.8%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	690,530.2	741,600.0	382,530.0	443,814.6	514,260.9	766,600.0	69.3%	25,000.0	3.3%
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	263,009.2	338,900.0	165,602.6	194,124.4	220,099.0	340,100.0	64.9%	1,200.0	0.4%
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	1,511,780.3	1,508,500.0	783,892.0	974,804.2	1,053,799.8	1,639,500.0	69.9%	131,000.0	8.0%
33 00	საქართველოს პროკურატურა	36,581.2	37,270.0	17,741.9	18,777.4	21,535.5	37,270.0	57.8%	0.0	0.0%
34 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	13,491.2	13,500.0	7,150.0	7,503.6	8,538.1	13,500.0	63.2%	0.0	0.0%
35 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1,483.2	1,600.0	760.0	883.5	1,024.3	1,600.0	64.0%	0.0	0.0%
36 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	5,347.7	6,400.0	3,014.0	3,335.0	3,838.5	6,400.0	60.0%	0.0	0.0%
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	8,000.0	8,000.0	3,755.0	3,597.7	4,224.9	8,000.0	52.8%	0.0	0.0%
38 00	სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორ	1,623.5	2,150.0	1,135.0	1,068.8	1,191.7	2,150.0	55.4%	0.0	0.0%

	ინგის სამსახური									
39 00	ა(ა)იპ - საქართვე ლოს სოლიდარ ობის ფონდი	237.0	260.0	130.0	139.5	157.1	260.0	60.4%	0.0	0.0%
40 00	საქართვე ლოს სახელმწი ფო დაცვის სპეციალუ რი სამსახური	59,77 3.5	57,500. 0	34,29 7.6	36,08 7.7	40,60 9.3	58,30 0.0	70.6%	800.0	1.4%
41 00	საქართვე ლოს სახალხო დამცველი ს აპარატი	7,375. 6	6,400.0	3,206 .0	3,999 .1	4,515 .3	6,400. 0	70.6%	0.0	0.0%
42 00	სსიპ – საზოგადო ებრივი მაუწყებ ელი	53,12 4.6	58,200. 0	32,42 0.0	44,98 3.2	46,93 8.2	58,20 0.0	80.6%	0.0	0.0%
43 00	სსიპ – კონკურენ ციის სააგენტო	1,861. 5	2,200.0	1,114 .0	1,027 .5	1,177 .5	2,200. 0	53.5%	0.0	0.0%
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის აგრონომი ური ოლქის ტერიტორ იაზე დროებით ი ადმინისტ რაციულ- ტერიტორ იული ერთეული ს ადმინისტ რაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტ რაცია	2,431. 6	2,460.0	1,317 .0	1,422 .4	1,619 .0	2,460. 0	65.8%	0.0	0.0%
45 00	საქართვე ლოს საპატრია რქო	25,53 5.4	25,000. 0	15,34 9.6	17,29 5.5	18,08 8.2	25,00 0.0	72.4%	0.0	0.0%
46 00	სსიპ – ლეგან სამხარაუ ლის სახელობი ს სასამართ ლო	4,199. 7	4,200.0	2,632 .0	2,708 .0	2,941 .4	8,700. 0	70.0%	4,500.0	51.7%

	ექსპერტიზის ეროვნული ბიურო									
47 00	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	9,328.7	10,000.0	4,991.0	5,436.7	6,434.7	10,000.0	64.3%	0.0	0.0%
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	3,796.4	4,050.0	2,073.0	2,266.9	2,604.9	4,050.0	64.3%	0.0	0.0%
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1,356.8	1,180.0	648.0	667.4	750.9	1,180.0	63.6%	0.0	0.0%
50 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	5,180.1	5,330.0	2,720.9	3,699.3	3,774.0	5,330.0	70.8%	0.0	0.0%
51 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	1,880.4	2,800.0	1,220.0	1,276.4	1,420.4	4,400.0	50.7%	1,600.0	36.4%
52 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	492.6	500.0	253.0	276.6	308.7	500.0	61.7%	0.0	0.0%
53 00	კერძო და საჯარო თანამშრომლობის ორგანო	0.0	500.0	150.0	113.4	139.6	500.0	27.9%	0.0	0.0%
54 00	საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	2,656,227.0	2,251,376.1	919,057.1	1,164,547.0	1,309,241.5	2,437,491.1	58.2%	186,115.0	7.6%
60 00	სსიპ - ტექნოლოგიური ინსტიტუტი	597.1	0.0	0.0	271.9	293.2	0.0		0.0	